Spotlight.ge რეკლამა გამოწერა

Marketer
Nations Favourite Business Informer

27 Mar 2019

დევიდ ლინჩი ახალი ქართულ – ამერიკული ფილმის პროდიუსერი იქნება

27 Mar 2019

დევიდ ლინჩის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში ქართულ – ამერიკულ ფილმს იღებს. უკვე ცნობილია მისი სახელი – კოპროდუქციას „სხვა მე“ [“Another Me”] ერქმევა. სურათის პროდიუსერი თავად დევიდ ლინჩი, რეჟისორი კი გიგა აგლაძე იქნება.

ინფორმაცია ამის შესახებ გიგა აგლაძემ გამოცემა „ნეტგაზეთს“ დაუდასტურა. ცნობილია, რომ ფილმში ჯიმ სტარჯესი, ანდრეა პეჯიჩი, ჯეკ როთი, ჯანეტ მაკტირი და ჟორდი მოლია ითამაშებენ. ფილმის გადაღებები მაისში დაიწყება.

გიგა აგლაძე კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდი პრეზიდენტია. ორგანიზაცია 2017 წლის 25 ივლისს დაარსდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს.

ფონდი რამოდენიმე მიმართულებით მუშაობს. მთავარი მიზანია ტრამვული სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი ჯანმრთელობის, შემეცნებითი უნარების, შრომისუნარიანობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრირება ტრანსცენდენტული მედიტაციის ტექნიკის მეშვეობით.

ასევე, მთავარ საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში დევიდ ლინჩის სახელობის კინო სკოლის და კინოფესტივალის დაარსება.

ფონდი გასცემს სტიპენდიებს სტუდენტებისთვის, ვეტერანებისთვის, ჯარისკაცებისთვის, შ.შ.მ პირებისთვის, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაზარალებულ პირებისთვის, პოსტ ტრამვული სტრესის მქონე ადამიანებისთვის – რათა მათ შეძლონ TM ტექნიკის შესწავლა და ნორმალური ცხოვრების გაგრძელება

DAVID LYNCH WILL BE A PRODUCER OF A NEW GEORGIAN-AMERICAN FILM

The representation of David Lynch Foundation in Georgia is shooting a Georgian-American film. It's name is already known – the co-production will be known as "The Other Me". The producer of the film will be David Lynch himself, and the film director is Giga Agladze.

The information about it was confirmed to "Netgazeti" by Giga Agladze. It is known that the cast of the film will be Jim Sturgess, Andrej Pejic, Jack Roth, Janet McTeer and Jordi Molla. The shooting of the film will start in May.

Giga Agladze is David Lynch Foundation president in Caucasus region. The organization was founded on July 25th of 2017 and unites Georgia, Azerbaijan and Armenia.

The activity of the Foundation has three directions. The main sphere is psychological rehabilitation of people with post-traumatic stress disorder, improvement of their health, awareness, working abilities and integration within the society by means of Transcendental meditation.

The main activity also includes establishemnt of Davli Lynch film school and film festival in Georgia.

The foundation provides scholarships for the students, veterans, soldiers, disabled persons, victims of the car accidents, people with post-traumatic stress disorder- so as they could learn TM technique and continue living a normal life.